განკარგულება:**g-61.61212375**
თარიღი:**25/08/2021**

განკარგულება N 66

ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2021 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2021 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2021 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N40 14 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერ ბახტაძე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი